გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბექა ლობჟანიძის

2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის

ანგარიში

2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 162 საკითხის განხილვაში. დავესწარი საკრებულოს ბიუროს 10 სხდომას და 194 საკითხის განხილვაში მივიღე მონაწილეობა.

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წევრი დავესწარი ფრაქციის 7 სხდომა და მონაწილეობა მივიღე 101 საკითხის განხილვაში.

ასევე ვარ საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრი დავესწარი 4 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 6 საკითხის განხილვაში. ასევე ვარ ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი, დავესწარი კომისიის 7 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 18 საკითხის განხილვაში.

მთელი წლის განმავლობაში სისტემატიურად ვხვდები როგორც საკრებულოში მოსულ მოქალაქეებს სხვადასვა საკითხებთან დაკავშირებით, ასევე ჩემს მაჟორიტარულ ოლქში, სადაც გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები, რომელიც სისტემატიურად მოგვარების პროცესშია:

- შევხვდი მოსახლეობას კვერნაკის დასახლებაში, სულხან-საბას ქუჩაზე, მე-8 სკოლის მხარე. მოსახლეობა ითხოვს გზის ასფალტის რეაბილიტაციას და ტროტუარების გაკეთებას.
- შევხვდი მოსახლეობას კვერნაკის დასახლებაში, რაზმაძის ქუჩის მოსახლეობა ითხოვს გზის ასფალტის რეაბილიტაციას და ტროტუარების გაკეთებას.
- შევხდვი მოახლეობას სულხან-საბას ქუჩაზე. მოსახლეობის მხრიდან გამოიკვეთა პრობლემები, ქუჩის ასფალტის საფარის რეაბილიტაცია და ტროტუარების გაკეთება, რომელიც თითქმის სრულად მოშლილია ქუჩაზე. მოსახლეობა ითხოვს, რომ 2022 წლის ბიუჯეტში მაინც გავითალისწინოთ ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები.
- კვლავ მწვავე პრობლემად აყენებენ კვერნაკის მაცხოვრებლები სსიპ ქალაქ გორის #8 საჯარო სკოლაში არსებული ღია სპორტული მოედნისა და სკოლის ეზოს რეაბილიტაციის პრობლემას.
- შევხვდი გორში აღმაშენებლის ქუჩის მაცხოვრებლებს გეპეის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე. მოსახლეობა ითხოვს ტრანსპორტის მომსახურების სერვისის განვითარებას და რამოდენიმე მარშრუტის დამატებას.
- ქ. გორში ცაბაძის #5 ბინის და ძმები რომელაშვილების #179 ბინის მაცხოვრებლებთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა სახლების დაზიანებული სახურავების გამოცვლის საკითხი.

- გორიჯვრის ქუჩის ბოლოში დაზიანებულია საკანალიზაციო მილი, დაბინძურებული წყალი იღვრება ავტომაგისტრალზე და ქმნის საფრთხეს განსაკუთრებით ყინვის დროს.
- ქ. გორში სტალინის #33 ბინის მაცხოვრებლებმა დააყენეს შიდა ეზოს მოასფალტების საკითხი.
- ქ. გორში, თამრ მეფის #114 საცხოვრებელი სახლის ცხოვრებისათვის შეუფერებელი პირობების გამო, 2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნებასაცხოვრებელი კოტეჯის განთავსება .
- ქ. გორში, ძმები რომელაშვილების #179-ის ტერიტორიაზე განთავსებულია უთავსახუროდ დარჩენილი საკანალიზაციო ჭების პრობლემა.
- ქ. გორში, კვერნაკის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე არის დიდი ოდენობით დაყრილი სამშენებლო ნაგავის პრობლემა.
- ქ.გორში, თამარ მეფის ქუჩა N126-ში (ყოფილი სისხლის გადასხმის სადგური) რამოდენუიმე ოჯახს აქვს ელექტროენერგიის პრობლემა, იქ მცხოვრებლებები ითხოვენ მიმდებარე ტერიტორიის გამწვანებას.
- ქ.გორში, თამარ მეფის ქუჩა N126-ში (ყოფილი სისხლის გადასხმის სადგური) მცხოვრები მოსახლეობას აქვს მუნიციპალური ტრასპორტით გადაადგილების პრობლემა.

აღნიშნული მოთხოვნების ნაწილი მოგვარებულ იქნა, ნაწილი აისახება მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში.

სრულად და ნაწილობრივ მოგვარდა:

- სსიპ ქალაქ გორის #8 საჯარო სკოლაში არსებული ღია სპორტული მოედნი.
- კვერნაკის ცენტრალური მოედნის რეაბილიტაცია.
- კვერნაკის დასახლებაში, რაზმაძის ქუჩის გზის მოასფალტება და ტროტუარების გაკეთება.
- ქ. გორში სტალინის #33 ბინის შიდა ეზოს მოასფალტება.
- ქ.გორში, თამარ მეფის ქუჩა N126-ში (ყოფილი სისხლის გადასხმის სადგური) სამ ოჯახს ელექტროენერგიის მიწოდების პრობლემა, ასევე მოხდა მიმდებარე ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების ჩარგვა.
- შეიცვალა მუნიციპალური ტრასპორტით გადაადგილების მარშუტი ქ.გორში, თამარ მეფის ქუჩა N126-ში (ყოფილი სისხლის გადასხმის სადგური) მაცხოვრებელთათვის.

ამასთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში, როგორიცაა გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო. გარდა ამისა აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბექა ლობჟანიძის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ.გორი 2022 წლის 28 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომერის პირველი მოადგილე: მარლენ ნადირაძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: ბექა ლობჟანიძე;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ქ.გორის მოსახლეობა, და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ინგა ტარიელაშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: მარლენ ნადირაძე.

დღის წესრიგი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბექა ლობჟანიძის 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი ბექა ლობჟანიძე და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს ბექა ლობჟანიძეს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2021 წლის 3

დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა ბექა ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: გიორგი აბრამიძემ, დავით ქიბროწაშვილმა და ნიკოლოზ ჯამბაზიშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: მარლენ ნადირაძე;

საკრებულოს წევრი : ბექა ლობჟანიძე.